



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 197

ქალაქი ქუთაისი 28 ოქტომბერი 2015 წელი

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისში 2015 წელს დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 დეკემბრის N98 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისში 2015 წელს დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 დეკემბრის N98 განკარგულებაში, კერძოდ:

1. განკარგულების N2 დანართის პირველი პუნქტის („ვარლამიშვილის ქუჩის ნაწილის გზის გრანიტის ფილებით, ტროტუარების, ბორდიურების, შშმ პირებისათვის პანდუსებისა და ღვარსადენის მოწყობა“), მე-3 გრაფაში („პროექტის ღირებულება (ლარი) სულ“) რიცხვი: „71511“, შეიცვალოს რიცხვით: „468797“, ხოლო, მე-6 პუნქტის („სულ ჯამი“) იგივე გრაფაში, რიცხვი: „1399 376“, შეიცვალოს რიცხვით: „1796662“.

2. ზემოაღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით განკარგულების N2 დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

/დანართი N2 განკარგულებას თან ერთვის/

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ. კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოადგილე

ნიკოლოზ ლატარია

ინფორმაცია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში
განსახორციელებელი პროექტების შესახებ

N	პროექტის დასახელება	პროექტის ღირებულება (ლარი)			პროექტის შესრულების ვადები		
		სულ	მ.შ. თანადაფინანსება	მ.შ. სრული საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების ფაქტობრივი ღირებულება (ლარი)	დაწყება	დასრულება	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8
1.	ვარლამიშვილის ქუჩის ნაწილის გზის გრანიტის ფილებით, ტროტუარების, ბორდიურების, შშმ პირებისათვის პანდუსებისა და ღვარსადენის მოწყობა	468797					
2.	გელათის ქუჩის ნაწილის გზის გრანიტის ფილებით, ტროტუარების, ბორდიურების, შშმ პირებისათვის პანდუსებისა და ღვარსადენის მოწყობა	265442					
3.	ფალიაშვილის ქუჩის ნაწილის გზის გრანიტის ფილებით, ტროტუარების, ბორდიურების, შშმ პირებისათვის პანდუსებისა და ღვარსადენის მოწყობა	415987					
4.	ბროსეს ქუჩის ნაწილის გზის გრანიტის ფილებით, ტროტუარების, ბორდიურების, შშმ პირებისათვის პანდუსებისა და ღვარსადენის მოწყობა	434743					
5.	სოლომონ პირველის ქუჩის გაგრძელების ბეტონის საფარით მოწყობა	211693					
6.	სულ ჯამი	1 796 662					

საკრებულოს თავმჯდომარის
მოადგილე

ნიკოლოზ ლატარია